ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 199. | ქვირა 7 მარტი 1904 წ. | გაზეთის № 2431.

დედის მსხვერპლი

(გაგრძელება *)

II

სამი წელიწადი შესრულდა, რაც ლუკაიას ცოლი ჰყავს. ცოტათი შეეჩვია ცოლიანობას, უწინდებურად აღარა სცხვენია. ცოლს იცოდებს, დახმარებას უჩენს, დედისგან იფარავს.

— შვილო, რაცხა საშუალება უნდა ვიხმაროთ, თვარა ასე არ გვარგია,—უთხრა ერთ საღამოს ეფროსინემ ლუკაიას.

— რა ვუყო ახლა, ამის ღობალი ვყოფილვარ და ესაა... წამლობას არაფერს ვაკლებ, თუ კი რამე გამოვა, თავს არ ვზოგულოფ და მეტი რა ვქნა? ხეთის ნება ყოფილი და ესაა...

— რაცხა უნდა ვქნათ, შვილო, რაცხა.... თვარა ვიღუპებით, ხომ ხედავ.... ამ ყვარაფელ გაციებულს შვილმა რა გვიქნა ეს.... რავა ამოგვაგდო, რავა დაგვღუბა მოსახლე კაცი... მაშინ გამიწყარა ღმერთი, ის რომ რძლად ვითხოვე.... ვაი ჩემი ცოდო! არც შვილი ყავს, არც რამეს აკეთებს, არც ჩემსას არაფელს ყურობს და არც არაფელს.—კაპასობდა ეფროსინე.

— რა ვქნათ მერე, დია, რა?

— რავა თუ რავქნათ? შენ ხარ გლახა, არაფელს ეუნები, თვარა ასე რავა აავლებს ოჯახს და ყველაფერს ყურს?!..

— ყველაფერს კი შობა...—კრძალვით სთქვა ლუკაიამ.

— აა, მოდი და უყურე ახლა?! ყველაფერს შობამ! ვიამე, შვილო, რავა გადაგიბირია იმ დაწყეველილმა, ჩემი არაფელი ვესმის! ვაი ჩემი ცოდო, რას მევესარი! დღემდი ამისანა არაფელი გითქვამს და ახლა რა ღვთის რისხვაა ეს! აი ამას ველოდი შენგან? შენც მიღალატე?! ან? დამღუპე? შამომიკიდე ცეხლი? თვარა შენ ხარ ასეთი კაცი და შენ მეუნები, არაფელი ქნაო? მე ვისაქნარო, დღე და ღამე არ დევიძინე და მან კი ისე იჯდეს? მე გოუკეთო მას საკმელი? ის გეცოდება და მე არა? ვაი ჩემი ცოდო, თვარა ის გიყვარს ჩემზე უფრო? თვარა ის გიყვარს? მე არა? მისი თავი გირჩევნია ჩემს თავს?! ან?

— დია...

— გაჩუმდი თქვა, გაჩუმდი! აი გუშინდელ მოთრეული ქალში მცალო? ან? ან? დაგავიწყდა ჩემი ნანა, დაგავიწყდა ჩემი ძუძუ... არმათ გეკეცა, შვილო, ჩემი ძუძუ, თუ შენ მინადარაზე მცალი... რას მევესარი ამას, რაა ეს ჩემ თავზე? ვაი ჩემი ბრალი... რათ არ დემეტეკა ის საათი, როცა მე შენ ცოლი გითხოვე! ან არ გამჩერნოდი, შენ, ჩემი მოსალევათ... დიღუ, შვილო, წაგიწარდა ჩემი ძუძუ...

ლუკაია შეშინდა, პასუხი ვერ გასცა. სრულებით არ მოელოდა, თუ დედას ასე გააჯავრებდა. თავის სიცოცხლეში პირველად გაგაღულიანა ასე დედა. სულ დაიბნა, სიტყვის ამოღებაც ვერ მოახერხა, სულ აძაგბდა.



ბორტ-არტური ზეედან ერთის დასვდეთ.

წინ გემების შესაკეთებელი სადგური. აქეთ-იქით და ბირდაბირ ფორტები, მარჯვნივ ნავთსადგური.

უნდა უთხრა, ასე ქენი, ასე თქვა და იზამს. გეისარჯე თქვა, უთხარი, თვარა მის ნებაზე თუ აყვეი, არაფელს არ იზამს, რავაც ახლია!—შეუტია ეფროსინემ შვილს.

ეფროსინე დარწმუნებული იყო, რომ შვილს იმაზედ უფრო ცოლი უყვარდა და თავმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა. იმის უნდოდა რამენაირით ცოლ-ქმარს შუა სიძულვილი ჩამოეგდო და მით რძლისთვის მაგერი გადაეხადნა. ამ აზრს მისაღწევად [illegible]

*) იხ. „დამატება" № 193.

ერთ დღეს მინადორა ავად გახდა და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. ორ დღეს იწვა. ბაშიში არაფერი იყო. დედამ-თილმა ძალაუნებურად „მიწა გამოულოცა“, ნათვალეი შეუულოცა, აჭამა და გულზეც ჩა-მოჭიდა, ამასთან რაღაც გალესილ მოწითალო წამლებს ასმევდა: ეფროსინეს ეტყობოდა, რა-ღაც სიხარულს ჭვრძნობდა რძლის ავადყოფობით, დიდ ფაცი-ფუცში იყო და დიდ მზრუნ-ველობას იჩენდა რძლისთვის. მიწა სიხარულით გამოულოცა და აღმოაჩინა, რომ მიზეზით იყო რძალი ავად. ნათვალეის ლოცვის დროს იმდენი ამთქნა-რა, რომ კინაღამ ყბები ამოგა-დო. „დეიდაუბე ქალი, ნათვა-ლებით შეუქამოთ ჩემი რძა-ლი“-ო, ცბიერად ეუბნებოდა ეფროსინე მეზობლებს. ლუკაიას დიდად არ აინტერესებდა ცო-ლის ავადყოფობა, რადგან ბაშიშს ვერას ჰხედავდა და დარწმუ-ნებული იყო, რომ დედის წამლობა უსათუოდ მოარჩენდა. მი-ნადორას უკეთესობა არ ეტყობოდა, მაგრამ არც უარეს მდგო-მარეობაში იყო.

— შეილო, ლუკაია, მოდი აქ, ყური მიგდე!—უთხრა ბა-ღამოთი ეფროსინემ შეილს, როცა მინადორას ავადყოფობი-დან სამი დღე გავიდა.

— რა იყო, დია?—მოწიწებით ჰკითხა ლუკაიამ დედას.

— მოდი აქ, შეილო, ყური მიგდე!—ჩურჩულით უთხრა შეილს დედამ.

— რა იყო?..

— რა იყო? აი რა... შენ, შეილო, ერთი ობოლი კაცი ხარ... მამაშენის ხელი შენ არ მოგწვეია, ჩემ ხელში გა-მეიზარდე. შენს მეტი შეილი, ხო იცი, არ მყოლია. შენ უ-ნდა მოაბრუნო მამაშენის სახელი... შენ ხარ მამაშენის მო-ძირე.—მოფერებით და ღელვით ეუბნებოდა შეილს ეფროსი-ნე და სცდილობდა ყოველი მოძრაობა, ყოველი სახის გამო-მეტყველება დაეჭირა შეილის სახეზედ; სცდილობდა იმდენი გაელვნა ჰქონოდა შეილზედ, რომ სავსებით დამორჩილებოდა.



ბორტ-ბრტყელი.—ეს სურათი გადაღებულია 1 თებერვალს. წინ დგანან ის უბრალო გემები, რომლებიც ბაბანეის ადმირალმა გაგ-ზავნა ნავთსადგურის შესავალში დასაძირად და გზას შესაკვრელად. ბორს მოსჩანს რუსეთის ეკადრა.

ნუ შემასწროს, მანემდი თვალ დაფსებულ დედაშენს დეეკარკოს თავი.

ლუკაია გაკვირვებული, თვა-ლებ გაფართოებული უცქე-როდა დედას. სმენად იყო გა-დაქცეული. დედას თვითეულ სიტყვას გულში იკერდა და ამარხავდა. ასეტკბილდ იმასთან დედას ძვირად ულაპარაკნა, ძვირად მოჰფერებია ასე დედა. ამის გამო ალტაცებაში იყო და არ იცოდა, რისთვის მიეწერა დედის ასე გატკბილება.

— შე რო რაჰე დაგემართოს, — გააგრძელა ეფროსინემ:—მე-რე მე რა მინდა ჰქანე? რა მინ-და მერე საცოცხლებლათ მე, გლახას? შენ გენაცვალოს შენი დედა... შენ... შენ... შე...—ამ სიტყვებზე ეფროსინეს ცრემ-ლები მოუვიდა და შეილს შე-მოეხვია. ლუკაიასაც თვალები აუცრემლდა, გული აუწუყდა. ვერ გაეგო, იმის გარშემო რა ხდებოდა და მხოლოდ „დედიკო, დედიკოს“ ჩურჩულებდა.

— მე, ხო იცი, შენთვის კაი მინდა... შენს მეტს ვის უშხერ... შენ ხარ ჩემი ღმერთი, ჩემი სული... მე ყოველთ-ვის შენთვის კაი მინდოდა და ყოველთვისეე კაი მენდომილე-ბა. გლახას შენ არაოდეს არ გირჩევ, მე დამიჯერე ყოველ-თვის მიყვარხარ, ჩემი შეილი ხარ. შენც უნდა გიყვარდე, უნდა გიყვარდე, სხვაში ნუ მცვლი, არ გამცვალო... არა... არა...

— ვიზე გაგცვალე, დია?—კრძალვით ჰკითხა გულ-აჩვი-ლებულმა შეილმა დედას, რომლის მოფერებაც იმის ყურებს ძვირად სმენია.

— არა, დია... მარა...

— მარა... რავაც გატყოფ, შენ ცოლზე მცვლი... ცოლ-ზე... ის უფრო გიყვარს, მე კი, მე...

— რას უნობ, დია, მაგას? მაშინ უნდა გამიწყრეს ღმერ-თი, მე შენ რო ცოლზე გაგცვალო. არა, დია, არა, მაგას ნუ მეტყვი, ნუ იფიქრე მაგას.

— ო, შენ გენაცვალოს შენი დედა, შენ, ჩემო გამგო-ნე შეილო, ჩემო ტრედო, ჩემო ერთგულო შეილო!—ამ სი-ტყვებით ეფროსინე კვლავ შემოეხვია შეილს და დაუწყო კოცნა.

ლუკაია, დედის ასეთის მოფერებით გატაცებული, ბავ-შვივით ცრემლებს იხოცავდა და რადაც გამოურკვეველ სი-

ბორტ-ბრტყელი.—ძველი უბანი (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბორტ-ბრტყელი.—ახალი უბანი (საკუთარის კორესპონდენტისაგან).

— ხო-და, შეილო, შენ ჩემი გამოზდილი ხარ... მე შენ გაგზარდე ჩემი ძუძუთ, არაეინ არ მომხმარებია, ჩემი ერთი შეილი იყავი, შენზე ამოდის ჩემთვის მზე და თვარე, შენ-ზე ვლოცულობ, ამომავალ სულს მირჩევნიხარ, ხო იცი შეი-ლო, ღმერთმა შენი თავი ნუ დამიკარგოს და შენს სიმწარეს

ხარულს ჭვრეტდა, ბედნიერი იყო. მხოლოდ ვერ გაეგო, თუ რამ შეცვალა მკაცრი იმისი დედა.

ბოროტარტყა.—ძველ სომეხის წინ (სა. კორესპონდენტისაგან).

— აბა, ქე გიყვარვარ, შვილო? იმაზე უფრო გიყვარვარ?

— კი დია, კი... მიყვარხარ.

— აბა, გამიგონეთ, ჩემო ტრედო, რასაც გეტყვი?

— კი დია... კი... შენ თვარ გაგიგონეს, აბა ვის გაუგონებ...

ეფროსინემ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ არისო, შემდეგ უცებ მიუბრუნდა შვილს, მოჰხვია მხრებში ხელები, ჩაიჩარა სახეში და ჩურჩულით უთხრა შვილს, რომელიც რაღაც სასწაულს მოელოდა და სმენად იყო გადაქცეული:

— მინადორე მოვწამლოთ...

ლუკაია გოოცდა. ამ სიტყვების გაგონებას არას დროს არ მოელოდა. მას ეგონა, სხვა რამ გავიგონეო და ჰკითხა:

— რაა?

— მინადორე მოვწამლოთ.—კვლავ მოესმა ლუკაიას ყურებს ეს სიტყვები. შეკრთა და უკან დაიხია.

— დედა, რას მეუბნები, ხომ არ გადარეულხარ?

— არა, შვილო... ჩუმად თქვი... ყური მიგდე... მინადორე მოვწამლოთ...

„მინადორე მოვწამლოთ“, კვლავ გაიგონა ლუკაიამ ეს საზარელი სიტყვები და შეშინებულმა უკან დაიხია, ელდა ეცა. ამ სიტყვებით ეფროსინეს იმისთვის თითქოს გახურებული შამფური შეეყაროს ყურებში და დაედგაოს, თითქოს იმის გულში მდუღარე ჩაესხას. თვალი სხეული აუკანკალდა, გრძნობა დაეკარგა, ფეხებზე ვერ გაჩერდა. იქვე ჩაიკეცა და კანკალით ძლივს ჰკითხა დედას:

— დია, გადემერიე, დამდუპე?

— არა, შვილო, რა იყო რა დეგემართა? რამ გამდარია, მართალს გეუწუბი... რა იყო, შვილო... ადი...

— დია, შენ ჩკუაზე არა ხარ... აბა რა თქვი ეგა, ან?

— ზეით აი, შვილო, ზეით... რავა ჩკუაზე არა ვარ, მართლა გითხარი... აი ზეით!

გენერალი მაშჩენკო,
უსაზღვრო რაზმის უფროსი მდ. ინდუსთან.

— დია, აბა მაი რავა ამოგვიდა პირიდან... ქრისტიანი კაცი მოვწამლოთ?

ინდოანა.—ინგლის ტბეები. (იხ. ფელეტონი „ცნ. ფ.“ № 2426).

— ადი ზეით, შვილო, ადი... გეტყვი კარქათ...

ლუკაია ცოტა გონს მოვიდა და ადგა. იმან ეკვის თვალით დაუწყო დედას ცქერა. ეფროსინემ უფრო ლაქუცით და მოფერებით დაუწყო შვილს ლაპარაკი. უფრო ახლო მიიწია, ჩოხის ღილებზედ ხელი წაავლო, ერთი სიყვარულით ლოყაში ყოდეც სტკიცა, მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და რომ საქვო ვერაფერი ნახა, ჩუმად გაავრძელა:

— აა, აბა რა იყო, შვილო, რო გითხარი, მინადორე ჩემზე უფრო გიყვარს თქვა... ან? ხო ყოფილა მართალი?

— დია, შენზე უფრო იგი რავა მიყვარს, მარა მოვწამლოთო რავა თქვი?!

— აი რეიზა ეთქვი, შვილო: იგი მაინც უშვილოა, შვილი არ ეყოლება... თუ შვილი არ ეყოლა, ხო დეკვილუპეთ და ესაა. ჩვენ ქონებას და სახლკარს მეზობლებს დაურიგებენ ჩვენს მერე... ის არ ჯობია მოვწამლოთ. შენ სხვა უკეთესი ქალი გეშონება, შვილი ქე გეყოლება და ყველაფერი. ქალი კი არ დაილევა, უკეთესს ითხოვ... ახლა მაინც ავთაა... დალევეიოთ წყალი და ის იქნება, ვერავინ ვერ შეიტყობს.... ავათყოფობით მოკეტაო, იტყვიან.

— დია, ღმერთთმანი, შენ შეიშალე, რას ეუნობ ამას?—ტირილის ხმით უთხრა ლუკაიამ.

— კიდო! რამ შემშალა, ბიკო? რა მაქ შესაშალი... მე გებნები, ასე ვქნათ: ახლა მაინც ავათაა და ვერავინ შეგვიტყობს... ვქნათ, დამიჯერე... მე შენ ვერ მასტავლი საქმეს, რაგარც უნდა... მერე სხვა ქალს გითხოვ და შვილი გეყოლება მასთან, თვარა, ხო ხედავ, უძეოთ გადადის ცხონებული მამაშენი... ჩვენს მერე ჩვენი აქანე არავინ დარჩება, შენს გვარს და სახელს არავინ იტყვის და ეს კაია? ერთი ქალის გულიჩა უნდა დეგვემართოს ეგი? საქმე ვერ მოხერხდებოდეს

კი, ოღონდ მაცადინობა და გაბედაა საჭირო, თვარა ერწამას ევისრულებ სურვილს... დავალეციოთ ერთ წამას და მორჩა და გთავდა. ვერავინ ვერ გეგებებს... ვინ მიგეიხვეთა?.

— დია, თუ შენ მართლა შეშლილი არ ხარ, მე მაგის ქნა არ გემიძლია... რას ლაპარაკოფ? კაცი რავა მოვწამლო, იგიც ჩემი ცოლია! რა ვქნა, დია, მე მაგის ქნა არ შემიძლია და...

— შეილო, მე გეუნები და ქენი. აქნობამდი ჩემი გამგონე იყავი და ახლა რა დეგემართა? ქენი, მე შენი დედ ვარ, გლახას არ გირჩევ. ქენი, თვარა კაი არ დეგემართება. იცოდე... წამალი აგერ მაქ მზათ... კაი ხნის დაბზადებული მაქ. დიდხანია ვინახავ. წამალია თქვა უთხრათ, დალევეს და ის იქნება...მერე იმისანა ქალს გითხოვ, რო მეტი არ შეიძლება... ხო ხედავ, შენი აფხანიკებმა ფულიანი ქალები ითხოვეს და შენც ერთი ოცთუმან ფულს და კაი ბზითებსაც ეიღეფ.... გული რო გწყდება, ფულიანი კაცი გახთები. მიწა ბევრი გაქ, სახლი გაქ და კარი. შვენიერ დიდარ ქალს ითხოვ. დაი არ გაყავს გასათხუარი და არაფელი, ყველე სიხარულით წამოგყოლა... დამიჯერე, შეილო, მე შენ გლახას არ გირჩევ...

— რათ მეოფფ ჯიბეში ხელს?

— უკერვად, ბატონო, მგირე შენდამა მიმეოდა: შარშან მეც სწორედ მაგისთანა ბალტო მეცვა და გადმაეიწვდა, რამ დდეს მე ადარ მაგვია.

ლუკაია გაკვირვებული მისჩერებოდა დედას ამ ლაპარაკის დროს. ვერ მიეხვდარიყო, თუ რა ხდებოდა იმის გარშემო. ცოლის მოწამლა წარმოუდგენელ საქმედ მიაჩნდა. ამ საქმეს როგორ ჩაიდენდა? ასეთს საზიზღრებას როგორ იზამდა, თავისს ცოლს როგორ მოსწამლავდა? მაგრამ ამ დროს სხვა მხარეც წარმოუდგა წინ: თუ იგი ამ ცოლს თავიდან მოიშორებდა, შეეძლო უკეთესი ქალის შერთვა, ფულიანისა, შეილიც ეყოლებოდა, დედაც მადლიერი ეყოლებოდა და ბედნიერი კაცი იქნებოდა. ერთის სიტყვით, მისი მომავალი გაცილებით უკეთესი და ბრწყინვალე იქნებოდა მინადორას მოშორების შემდეგ...

დიდხანს იფიქრა, ბევრი იფიქრა. მომავლის დახატვა, გათვალისწინება სიხარულს, სიიოვნებას ჰგვრიდა, მაგრამ როცა ცოლის მოწამვლა გაახსენდებოდა, სულ დავთრები აებნეოდა. დიდად მოხარული იქნებოდა, თუ ვინმე ან მოტაცებდა, ან გააქრობდა იმის ცოლს, მხოლოდ ისე, რომ იმას არ დაენახა.

მადლაქაიშვილი.

(დასასრული იქნება).

— ეჰ, მეუნენებიან, სმას თავი დანებეო, მოგკლავსო; ამ ბატარა ზნეს არავმა მე უნდა მომკლას?



— შენ, ნენო ძმაო, ასი მანეთი ისესხე ჩემგან ლოტა ხნით, მერე რა უფავი?

— ავი გითხარ, ლოტა ხნით წავიდე მეთქი: მაშინვე ქალაქში წავალ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.